დანართი
დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯი ,,ჰორიზონტი“-ს
დირექტორის 2014 წლის 5 აგვისტოს N 04-4 ბრძანებით

დანართი N1

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და მექანიზმები

მუხლი 1. ინსტრუქციის მიზანი და რეგულირების სფერო:

ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „ჰორიზონტის" (შემდგომში - კოლეჯი) პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და მექანიზმები განსაზღვრავს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესს და მექანიზმებს და ვირუსული ინფექციით დასნეულების დროს პირვეადი დახმარების წესს და განსაკუთრებულ პირობებს .

მუხლი 2. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა:

1. კოლეჯს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მიზნით ჰყავს შესაბამისი თანამშრომელი, კოლეჯის ექთანი , რომელიც:

ა) ზრუნავს კოლეჯში ჰიგიენური მოთხოვნების დაცვაზე;

ბ) ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს სტუდენტებსა და კოლეჯის თანამშრომლებს;

გ) პერიოდულად შეისწავლის სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობას;

დ) უზრუნველყოფს სტუდენტებს რეკომენდაციებით პირადი ჰიგიენის შესახებ;

ე) ვალდებულია სამედიცინო კაბინეტი უზრუნველყოს და დროულად განაახლოს პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტებით;

ვ)აკონრტოლოს პირველადი სამედიციო დახმარების მედიკამენტების ვარგისიანობა და შენახვის ვადა.

2. ექთანი კოლეჯის თანამშრომლებს ან პროფესიული სტუდენტების უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას , საჭიროების შემთხვევაში იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას.

მუხლი 3. ვირუსული ინფექციით დასნეულების დროს პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი და მექანიზმები .

1. დაინფიცირებული პირის გამოვლენის შემთხვევაში სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე კოლეჯის ექთანი უზრუნველყოფს მის იზოლირებულად განთავსებას;

2. .უკავშირდება დაიფიცირებული პროფესიული სტუდენტის ოჯახის წევრებს.

3.მიმართავს კოლეჯის დირექტორს ,რათა დროულად მოხდეს შეტყობინება ,შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

4. . საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ადგილობრივი სამსახურის დასკვნის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ,

5.. გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კოლეჯის დირექტორის მომართვის საფუძველზე.

6. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ადგილობრივი სამსახურის დასკვნის საფუძველზე ექთანი უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე უზრუნველყოფს სპეციალისტების მოწვევას თვალყურს ადევნებს სადეზიფექციო სამუშაოების ჩატარებას.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები:

1.ინსტრუქციაში ცვლილებები/დამატებების შეტანა, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად